

ბატონო ირაკლი,

მოგახსენებთ, რომ წალკის მუნიციპალიტეტის თრიალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ დაბა თრიალეთში საბჭოთა საქართველოს პერიოდში მოხდა ქუჩების სახელდებობა და ამჟამად არსებული ქუჩების სახელწოდებებია: საბჭოს ქუჩა, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩა, ხრამჭესის ქუჩა, კიროვის ქუჩა, I მაისის ქუჩა, ლენინის ქუჩა, შოთა რუსთაველის ქუჩა, სკოლის ქუჩა, ზუბალოვის ქუჩა, პუშკინის ქუჩა.

ვშუამდგომლობ საკრებულოს წინაშე, რომ საბჭოს ქუჩას ეწოდოს კლდეკარის ქუჩა, ისტორიული კლდეკარის საერისთავოდან გამომდინარე. ალექსანდრე სუვოროვის ქუჩას ეწოდოს დიდი ქართველი პედაგოგის, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერალის და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ქუჩა.

ხრამჭესის ქუჩას ეწოდოს ედუარდ ბრაიშის ქუჩა. ედუარდ ბრაიში დაიბადა 1939 წელს ალექსანდრესპილფში (დაბა თრიალეთის ყოფილი სახელი), მოგახსენებთ, რომ გერმანელთა ოჯახები 1819 წლის ბოლოსათვის დასახლდნენ სოფ. თრიალეთში, რომელსაც იმდროისათვის ალექსანდრესპილფი დაერქვა, ხოლო შემდეგ როზენფელდი ეწოდა. 1944 წელს გერმანელები შუა აზიაში გადაასახლეს, მათ სახლებში ბერძნები შეასახლეს და სოფელს თრიალეთი უწოდეს. მე-20 საუკუნის ბოლოს ბერძნების დიდი ნაწილი ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა და სოფელში ზემო აქარიდან წამოსული ეკომიგრანტები დასახლდნენ. დაბა თრიალეთში ხრამჭესის ქუჩაზე 1906 წელს გერმანელების მიერ აშენებული კირხე დგას. ედუარდ ბრაიშის მამა იყო სოფლის კლუბის ხელმძღვანელი, მუსიკოსი და პედაგოგი, თავად ედუარდი პროფესიით იყო არქიტექტორი და აზომილი აქვს რამოდენიმე გერმანული ეკლესია საქართველოში. მანვე გააკეთა სოფელ როზენბერგის (დაბა თრიალეთი) ძველი რუკა და შეაგროვა უამრავი მასალა, რომლის წიგნად გამოცემა ვერ მოასწრო, გარდაიცვალა 2021 წელს.

პირველი მაისის ქუჩას ეწოდოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად 26 მაისის ქუჩა.

ლენინის ქუჩას ეწოდოს გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის, ისტორიკოსის და კარტოგრაფის, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილის ვახუშტი ბატონიშვილის ქუჩა, ვახუშტი ბატონიშვილმა თავისი კალმით აღწერა შემდეგი დარგები: გეოგრაფია, (კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია, კარტოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრაფია, ტოპონიმია) გეოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ეთნოგრაფია და ანთროპოლოგია. „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ ვახუშტი ბატონიშვილის მთავარი შრომის გეოგრაფიული თავების ერთობლიობას წარმოადგენს. ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა საქართველოს ორი ქართული გეოგრაფიული ატლასი, პირველი ატლასი მან შექმნა 1735 წელს, იგი წარმოდგენილი იყო რვა რუკით, ხოლო მეორე ატლასი 1742 – 1743 წლებში შეადგინა და იგი თავის მხრივ ცხრაშეტი რუკისაგან შედგებოდა. ვახუშტის კალამს ეკუთვნის ისეთი მეცნიერული თხზულება, როგორცაა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ისტორიას დასაბამიდან მე-18 საუკუნის პირველ ნახევრამდე. ვახუშტის პირველმა შიესწავლა ქართული გერბები და დაიტანა თავის სახელგანთქმულ ატლასში.

სკოლის ქუჩას ეწოდოს ცოდნის ქუჩა, ვინაიდან სკოლა ცოდნის წყაროა და ასოცირდება ცოდნის მიღება-დაუფლებასთან.

ამასთან დაბაში არსებული შოთა რუსთაველის, ფეოფილაქტე ზუბალოვის და ალექსანდრე პუშკინის ქუჩების სახელწოდებები დარჩეს უცვლელი, ხოლო რეესტრის მონაცემებით უსახელო ქუჩას, რომელიც ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით იწოდება სერგეი კიროვის ქუჩად დარჩეს პირობითი სახელით და ეწოდოს შეათე ქუჩა.

პატივისცემით,

საკრებულოს წევრი

მ. იტუშვილი

მარინე ირემაძე